წელიწადი 1-ლი
ტელეფონი № 76.
ოთხშაბათი 12 აპრილი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

**გაზეთის ფასი:**
წლიურად . . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

**განცხადების ფასი:**
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი-ორად.
2 საათის შემდეგ . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძის ს.

№ 3 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 3

## ჩვენი გაზეთი

**წლის დამლევამდე ღირს 12 მან.**

გადახდა შეიძლება ნაწილნაწილად.

## მოწოდება

ქართველო ხალხო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაპერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნუღარ გაქვთ.

## მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის, შემოწირულება მიიღება „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის კანტორაში.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული

პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მცკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში—როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

### ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

10 აპრილისთვის, მოწინავე ესკადრონი—სანახავი. **ინსტიტუტკა** (როცა სისხლი სჩქეფს) მშვენიერი პიესა 5 ნაწილად. ინსტიტუტკის მთავარ როლს ასრულებს ცნობილი, დაჯილდოებული ლამაზი ქალი ფრანჩესკა ბერტინი.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 13 აპრილიდან საუცხოვო პროგრამა. **რუსეთის დიდი რევოლიუცია,** პეტროგრადის ამბები 2 ნაწილად. **გარისონის ტუსაღი.** ნორდისკის მხატვრული დრამა 3 ნაწ. გარისონის და ევა ტომსენის მონაწ.

### ელექტრო ამპირ თეატრი

10 აპრილისთვის: ქრონიკა გომონი—მიმდინარე მოვლენები. **პირველი და უკანასკნელი კოცნა** მხატვრული დრამა 5 ნაწილად ანდრე გაბესსა და მატილდა სიმარციოს მონაწილეობით სარრა ბერნარის თეატრიდან.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 13 აპრილიდან საუკეთესო პროგრამა **რუსეთის დიდი რევოლიუცია,** პეტროგრადის ამბები 2 ნაწ. **მიცვალებულნი სდუმან.** დრამა 5 ნაწ. გრუზინინისა, ბენურისა, ბეკ ნაზაროვისა და კრაიევსკაიას მონაწილეობ.

ქართველთა შორის წერა-კითხ. გამავრცელ. საზოგ.

## სენაკის განყოფილების გამგეობა

ამით აცნობებს განყოფილების წევრთ, რომ განყოფილების წევრთა

**წლიური კრება დანიშნულია კვირას 16 აპრილს**

დილით 10 საათზე, ძმათა სანიკიძეების თეატრის შენობაში. გამგეობა სთხოვს განყოფილების წევრთ დაესწრონ კრებას.

თუ ეს პირველი კრება არ შესდგა წევრთა სავალდებულო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, მაშინ მეორე კრება ინიშნება 23 აპრილს და ის შემდგარად ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს.

**გამგეობის თავმჯდომარე:** ოლ. ხოფერია.

## განცხადება.

პედაგოგიური საბჭო ქუთ. **რეალურ სასწავლებლისა** აცხადებს, რომ

## მოწმობების

მისაღები გამოცდები სხვადასხვა კლასის კურსის ცოდნაში დაიწყება პარასკევს, 14 მიმდინარე აპრილისა, **ხოლო სასწავლებელში შესავალი**

**გამოცდები დაიწყება მარიამობისთვეში.** 3—1

## დღეს:

**წერილები:**

ქართველი—თავისუფლების სესხი.
დ. გურული—იურისტების საყურადღებოთ.
ვ. წერეთელი.—ქართველ ისრაელთა უფლებები.
ისრაელი ქართველი—ქართველ ისრაელებს.
ი. იმერელი—ზოგი რამ სადღეისო.
შენიშვნა გაზ. „მშაკს“.
სამწუხარო გაუგებრობა.

**ცნობები:**

სომხური პრესა.
ახალი მთავრობის დეპეშები:
ომის დეპეშები.
ეროვნული კითხვა.
ჟურნალ გაზეთებიდან.
ახალი ამბავი.
ნიკოლოზ რომანოვი და რიბო.
ხალხის გასაჭირი.

## თავისუფლების სესხი.

მოქალაქენო! დაეხმარეთ რუსეთის დროებითს მთავრობას ახალი სესხის განაღდების საქმეში. იცოდეთ, რომ არა თუ არც ერთი მანეთი არ დაგეკარგებათ, არამედ რასაც სესხად გაიღებთ, საერთო საქმეს მოხმარდება და სამოქალაქო თავისუფლებას განამტკიცებს. მაშ ხელი შეუწყვეთ თავისუფალი სესხის განაღდებას! ეს თქვენი მოქალაქური მოვალეობაა. ნურაფერს დაიშურებთ ამ დიადი საქმისათვის, რომელიც უზრუნველ ჰყოფს რევოლიუციის მიერ მოპოებულ თავისუფლებას

**ქართველი.**

## იურისტთა საყურადღებოთ.

ცოტა დრო, სულ რამოდენიმე თვე, დაგვრჩენია, სანამ დამფუძნებელი კრება მოსკოვში ან პეტროგრადში გაიხსნებოდეს.

ამ კრებამ, რალა თქმა უნდა, რთული სახელმწიფოებრივი საკითხები უნდა გადასწყვიტოს. პირველათ ის უნდა ალიაროს, თუ რა საფუძველზე იქნება აგებული რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილება. სახელმწიფოს წყობილება, მოგეხსენებათ, სხვადასხვანაირია, სხვადასხვა ფორმისაა: მონარქია, კონსტიტუცია, რესპუბლიკა და სხ. კრებამ ერთი ამათგანი ფორმა უნდა გამოირჩიოს.

და ეს კრება, რომელსაც ამისთანა მძიმე ტვირთი მოელის, შესდგება კი უმეტესად სოფლელებისაგან,—იმ სოფლელებისაგან, რომელნიც ახლა—მადლობა ღმერთს—მოქალაქეებათ არიან აღსარებულნი.

აქედან ცხადია, რომ ეს მოქალაქეები, ცოტათ თუ ბევრათ, პოლიტიკურათ მომზადებულნი უნდა იყვნენ.

რასაკვირველია. 1905 წლიდან მთელი რუსეთი პოლიტიკურ შემეცნებაში ძალიან წინ წავიდა. რუსეთზე კიდევ უფრო ჩვენში განვითარდა ხალხი, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს მაინც არ კმარა. საჭიროა, ხალხი პოლიტიკურათ, რამდენათაც ეს შეიძლება, მოვამზადოთ, გავაგებინოთ, თუ რას ჰქვია მონარქია, ან თვით მპყრობელი მეფე, რას ნიშნავს კონსტიტუციური სახელმწიფო, რა არის დემოკრატიული რესპუბლიკა და სხ. ამით ის დაინახავს, რომ ეს უკანასკნელი სახელმწიფო წყობილების უკეთესი ფორმა არის. და მაშინ, მე ვფიქრობ, ხალხი, ამ ნაირათ მომზადებული, პირდაპირ მინდობილებას (მანდატს) მისცემს თავის წარმომადგენლებს, ამორჩეულებს, რომ მათ დამფუძნებელ კრებაზე მოითხოვონ, რათა სახელმწიფოებრივ წყობილებას სარჩულათ დემოკრატიული რესპუბლიკა დაედოს.

მაგრამ როგორ შეიძლება ხალხის მომზადება?

შეიძლება იფიქრონ, რომ ამ მოვალეობას პარტიული მქადაგებლები (პროპაგანდისტები) შეასრულებენ. ჩვენ ამის წინაალმდეგი ვართ. პროპაგანდისტები, ხშირათ ახალგაზდები, მეცნიერებაში ნაკლებად განვითარებულნი, უფრო პარტიულ პროგრამას აწოდებენ ხალხს და არა მეცნიერულ ძირითად დებულებებს, იმ მომზადებას კი, რომელიც მე მაქვს სახეში, პარტიული სალებავი არ უნდა ეცხოს.

პროფესორი როჟდესტვენსკი „რუსეთის დილაში“ („Утро Россіи“) წინადადებას იძლევა, ლექტორების ჯგუფები შესდგენ და სოფლის ხალხს ლექციები უკითხონ. ლექციები, მისი აზრით, უნდა ეხებოდეს შემდეგ საგნებს:

1) უფლების ზოგადი თეორიის ძირითად დებულებებს (основы общей теоріи права.)

2) სახელმწიფო ზოგადი თეორიის და სახელმწიფო უფლების ძირითად დებულებათა (основы общей теоріи государства и государственнаго права).

3) ევროპის და ამერიკის უმთავრეს სახელმწიფოთა წყობილებას (государственный строй европейскихъ и американскихъ государствъ)

4) პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი დებულებებს (основы политической экономіи).

ჩვენი აზრით, ლექციების მოწყობა და მერმე კიდევ ამისთანა ვრცელი პროგრამით ჩვენთვის შეუძლებელია. ჩვენ ერთი საშვალება გვაქვს ხალხი მოვამზადოთ. ეს საშვალება გაზეთია. გაზეთი სოფლად, ცოტა თუ ბევრათ, გავრცელებულია. მაშასადამე, საჭირო ცნობები გაზეთის საშვალებით უნდა გაუზიაროთ ხალხს.

ამიტომ ჩვენ მივმართავთ ყველა ინტელიგენტებს, განსაკუთრებით იურისტებს — ამ საერთო საქმეში, ამ განსხვავებულ დროს, თავისი წვლილი შამოიტანონ — წერილები ამ საგნებზე რედაქციებს მიაწოდონ.

**დ. გურული.**

## ისრაელ ქართველებს!

სულ ცოტა ხანია მას შემდეგ, რაც რალაც უცნაური და გაუგებარი დავა ჩამოვარდა ორი მიმართულების ისრაელ ქართველთა შორის. ეტყობათ ერთი მათგანი სოც.-ფედერალისტია, ხოლო მეორე სოციალ დემოკრატი. აზრი და რწმენა ყოველ ადამიანს საკუთარი აქვს და ჩვენც არ გვიკვირს, თუ ქართველ ისრაელთა შორისაც ისე, როგორც ქრისტიანთა შორის გამოჩნდენ ს.-ფ-იც, ს.-დ-ბიც და ეროვ. დემოკრატებიც. ეს ასეც უნდა იყოს და ამიტომ სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიგვაჩნია. ხოლო საქმე ის არის, რომ ბუნებრივ მოვლენას არასოდეს უნდა მიეცეს მახინჯი და უმსგავსი სახე, უკიდურეს შემთხვევაში ისეთივე სამწუხარო ფაქტი განმეორდება, როგორსაც დღეს ჩვენ მთელს საქართველოში ვხედავთ. პარტიულმა კინკლაობამა და ჟინიანობამ ისეთი ნაყოფი გამოიღო, როგორიც წარმოუდგენელია კულტუროსანსა და განათლებულ ერებში. ძმა ძმაზედ დაგეშებულა და აღარ ინდობენ ერთი მეორეს. ავტონომია ბატონ-ყმობათ მონათლეს, ფედერაცია-რუსეთისაგან გამოყოფათ, ეროვნული იდეა—კაცი ჭამიაობათა და სხვა. ვინც თვალხილულია და ვისაც ოდნავ მაინც უჭრის გონება და გაგება მისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ყოველივე ეს სიყალბეა და სიცრუეზე აღმოცენებული ახსნა. პირიქით, ავტონომია ერთად ერთი წამალია ყოველი ქართველისათვის, რა გინდ პარტიასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი და რა გინდ სარწმუნოებასაც აღიარებდეს. ამათ ახსნას მე არ შეუდგები, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ყოველ ისრაელ ქართველს ესმის, რომ საქართველოს ტერიტორიული ავტონომია ერთად ერთი განმკურნებელი იქნება ჩვენი ძველი რეჟიმისგან მოშხამულ არსებობისა. ეს არც შეადგენს ამ წერილის მიზანს. მე მინდა მხოლოდ მოუწოდო ისრაელ ქართველებს, ნუ გაჰყვებიან იმ გზით სიარულს, რომელიც მათ შორის განხეთქილებას, შუღლსა და მტრობას შეიტანს, რომელიც მათ გათიშვას. პირიქით ჩვენი მთავარი მიზანი ის უნდა იყოს, რომ უწინდებურათ ერთგული შვილები ვიყოთ ჩვენი სამშობლო საქართველოისა, რომ ვემსახურებოდეთ ჩვენი სამშობლოს აყვავებას, გაბედნიერებას, მის კეთილდღეობას. მიზანი ეს არის და ვისაც რაგზით უნდა ემსახუროს ამ იდეალს. სცდება ამხანაგი ფიჩხაძე, როდესაც ისრაელ-სოციალდემოკრატებს მოღალატეებსა და სამშობლოს ზურგის შემქცევლებს უწოდებს, ხოლო უფრო მეტად სცდება ამხანაგი „ებრაელი“, როდესაც ამხ. ფიჩხაძეს პროვოკატორად ნათლავს. არც ერთია მართალი და არც მეორე. შეგიძლიანთ სხვა და სხვა გზებით ემსახუროთ თქვენს სამშობლოს, ხოლო არა გაქვთ უფლება ცილი დასწამოთ ერთმანეთს, ტალახში ამოსვაროთ, და გათხუპნოთ. სირცხვილია და თავისმოჭრა ჩვენი. ასეთი საშვალებებით იდეური ბრძოლა. ამით მიზანს კი არ მიაღწევთ, არამედ უფრო ავნებთ საერთო საქმეს. ნუ თუ არ გესმისთ, რომ ასეთ ქარტეხილის დროს მეტი სიდინჯე მეტი დაფიქრება და შორს მჭვრეტელობა გმართებთ? ისრაელმა ქართველებმა პირიქით მაგალითი უნდა მივსცეთ ჩვენს მოძმე ქრისტიანებს იმისა, რომ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავათ, შესაძლებელიცა და საჭიროც არის ერთად მოქმედება. ძალა ერთობაში არისო ნათქვამია და ნუ თუ ამას კიდევ მტკიცება სჭირია? ნუ ვიზამთ ამას, გავიღოთ ყოველმა ჩვენთაგანმა შეძლებისადაგვარი წვლილი საერთო საქმის გასაკეთებლათ. დაე ინტელიგენტმა ცოდნით ემსახუროს ძვირფას სამშობლოს მუშამ თვისი მარჯვენით, ახალგაზრდამ ფარ-ხმალით და ვაჭარმა ჯიბის გახსნით, რაბინმა მახვილის ენით და ყველამ ერთად წრფელის გულითა და სიყვარულით. ეკუთვნოდეთ ვის რომელ პარტიასა გსურდეთ, ხოლო ნუ იქნებით ვინმეს სათამაშო და სამასხარო იარაღათ.

მხოლოდ ეს მიგვიყვანს გამარჯვებამდის.

**ისრაელი ქართველი.**

## ზოგი რამ სადღეისო.

ძველ თვით მპყრობელურ რუსეთში ჩვენს ქვეყანას არ გაუხარია. ნიკოლოზის მმართველობა ყველაზე მეტს ბოროტებას საქართველოში სთესდა. თვით

მჰყრობელობის ვერაგმა პოლიტიკამ ყოველ დარგში გზა კვალი აგვიბნია. ქართველ ხალხს გაეყვანა საკუთარი შემოქმედება... მოისპო ქართული სკოლა, საკუთარი ზნე-ჩვეულება, შეფერხდა ეს ეროვნული კულტურით განვითარება. დღეს ღორდაქმნის ხანაა.. რუსეთში ძველი ყველასგან მოძულებული ინგრევა და ახალი შენდება... აი, ასეთ შეხამებულ დროს ჩვენც უნდა მზად ვიყოთ. უპირველესი ჩვენი ყურადღება უნდა მივაპყროთ სკოლას. ჩვენს სკოლას სრული განახლება ეჭირვება. ყველასთვის ცნობილია, რომ აქამდის ჩვენი სასწავლებლები ჟან დარმერიულ რუსეთს პოლიტიკურ დაწესებულებად ჰქონდა მიჩნეული. ძველ მთავრობის დროს ხალხი არ ღირსებია ისეთ სკოლას, რომელიც მის ცხოვრებასთან ყოფილიყო შეკავშირებული. წყურვილი სწავლა განათლებისა საქართველოში დიდი იყო და იქნება. ქართველ ხალხს წინსვლა თვალის გახელა სწყურია. მას ამ მიზნის მიღწევა უნდა გაუადვილდეს ხალხის გასათვითცნობიერებლად და ეროვნულ გრძნობის გასაღრმავებლად ეროვნული სკოლა უკეთესი საშუალებაა ჩვენ რომ დღემდის ქართული სკოლა გვქონდა, ქართულად აღზრდილი ვიყავით, გარწმუნებთ, რომ დღეს ისე გზა აბნეულები და სხვისი ჭკუით მოაზროვნენი არ ვიქნებოდით, როგორიც დღესა ვართ... ჩვენ დაუყონებლივ უნდა შევუდგეთ სახალხო და პირველ დაწყებით სკოლების რეორგანიზაციას.

პირველ დაწყებითი და სამოქალაქო სკოლები დღესვე უნდა გადაკეთდეს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების შესაფერ სასწავლებლად. რა თქმა უნდა რეფორმა ეჭირება საშუალო სასწავლებლებსაც, მაგრამ პირველ რიგზე სახალხო სკოლების საქმეებში უნდა მოგვარდეს, რადგან ხალხი პირველად ამ დამახინჯებულ სკოლებს აბარებს თავის შვილებს.

ამ დიდ საქვეყნო კითხვაზე აუცილებლად საჭიროა სრულიად საქართველოს სასკოლო თათბირის მოწვევა. თათბირი დაჩქარებით უნდა მოხდეს, რადგან დრო ცვალებადობას განიცდის, ხვალინდელი დღე იქნებ წინააღმდეგი მოუვიდეს სურვილისა... დღეს უნდა მოხდეს ჩვენი გადაგვარებულ ცხოვრების სრული გაქართულება.. უნდა გაქართულდეს, სკოლაც, დღეს ამისთვის უკეთესი დრო დადგა. ძველი ყველაფერი ირღვევა, ქართველი ხალხის ეროვნულ არსებობისთვისაც მიუცილებელია დახავსებულ, შემბორკველ პირობათა აღმოფხვრა... დღეს უნდა აშენდეს პირველი **ქართული სკოლა**.

თუ გვინდა, აღორძინდეს და განვითარდეს ქართული სახალხო კულტურა, ყოვლის უპირველესად საჭიროა სწორედ პირველ დაწყებითი სახალხო სკოლის გაქართულება.

უკრაინამ უკვე მოახდინა როგორც პირველ დაწყებითი სკოლების ისე საშუალო სკოლების გაეროვნულება...

ახლად ბორკილებისგან განთავისუფლებულმა უკრაინამ დაიარსა უკრაინული უნივერსიტეტი... ჩვენც უფლება გვაქვს ასევე მოვიქცეთ...

**ი. იმერელი**

## ქართველი ისრაელების უფლება.

ქართველი ისრაელები მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებიან დანარჩენი ქართველობისაგან, როგორც. მაგალითად, ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკენი, ქართველი გრიგორიანები და სხ.

ჩამომავლობით, ენით, ისტორიით, ზნითა და ჩვეულებით ისინი არიან ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი ღვიძლი ძმები და შვილები. ქართველობა ყოველთვის ასე ფიქრობდა.

მაშ რა უფლება უნდა ჰქონდესთ მათ დღეს და რა უფლება ექნებათ მომავალ საქართველოს ავტონომიაში? იგივე უფლება, როგორიც აქვსთ და ექნებათ დანარჩენ ქართველებს.

თავისუფლება მოძრავისა და უძრავი მამულების — სხვათა შორის მიწების — შეძენისა, ხელშეუხებლობა ბინადრობისა, თანასწორი წარმომადგენლობა თვითმართველობასა, ადმინისტრაციულ გამგებლობასა და კანონმდებლობაში, თანასწორი უფლება აღზრდისა და განათლების საქმეში და სხ. — აი ეს ძირითადი უფლებანი.

უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი უფლება: ხელშეუხებლობა სარწმუნოებისა, რომელიც იშობება სინდისის თავისუფლებისაგან. ისრაელებს აქვსთ და ექნებათ უფლება შეაწყერონ თავის თავი გადასახადი თავისი სალოცავებისა და სამღვდელოებისა და თავისი სჯულისა და სარწმუნოებრივი ენის მასწავლებელთა შესანახავად.

ძმებო ისრაელნო! მოგვეცით ხელი და შევკრათ ისეთი კავშირი და ერთობა, როგორიც შეეფერება თავისუფლების ახალ დროს.

**ვასილ წერეთელი.**

## ახალი მთავრობა (დეპეშები).

### მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების კრება ფრონტზე.

**მინსკი.** ფრონტზე დაიწყო კრება ლაშქრის და ზურგის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატებისა. კრება საქალაქო თეატრში ხდება. თავი მოიყარა 1100 დელეგატმა. თავმჯდომარეა მინსკის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე პოკორნი. თავმჯდომარე მიესალმა კრებას. ფეხზე ადგომით პატივი სცეს თავისუფლებისათვის დახოცილთა ხსოვნას. პოლკოვნიკი კასატკინი კრებას მიესალმა ოფიცერთა დეპუტატების და თავისუფალ ლაშქრის სახელით. ცხარე კამათი გამოიწვია პრეზიდიუმის არჩევამ. წინადადება იყო, ფრონტის თითო ლაშქრის წარმომადგენლებმა თითო კაცი აარჩიონო. ამ წინადადებამ ჯარისკაცთა პროტესტი გამოიწვია, ჩვენ აქ უმრავლესობას შევადგენთ და პირველობაც ჩვენი უნდა იყოსო. შემდეგ აღიძრა საკითხი ოფიცერთა წარმომადგენლების არჩევისა. ამას ოფიცრებიც და სალდათებიც წინააღუდგნენ. ფრონტზე ფიცრებსა და სალდათებს ცალკ-ცალკე ორგანიზაციები არა გვაქვს და ოფიცრებიც იგივე სალდათები არიანო.

### მოწოდება ჯაშუშობის წინააღმდეგ.

**პეტროგრადი.** 7 აპრილი. ოფიციალი. მოქალაქენო! უკანასკნელ ხანებში დიდძალი წარმომადგენელი სხვა და სხვა პოლიტიკურ ჯგუფისა მოაწყდა მომქმედ ჯარს. თვითეული მათგანი ღებულობს სათანადო მოწმობით, რომელიც ხშირად გამოურკვეველია ყველა მათგანი ღრმად დარწმუნებულია თავის სინიდისიანობაში და თავის საქციელს ფრიად სამართლიანად სთვლიან. ამავე დროს კი, მოპირდაპირის ჯაშუშია შიშის გამო ვთხოვთ მათ სასტიკად დაემორჩილონ საომარ წესებს. მოუწოდებთ რა მოქალაქეთ სამშობლოს ინტერესების დასაცველად, წინადვე ვაცხადებთ, რომ ჩვენ მივიღებთ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც არმიის შტაბების და სამხედრო ოლქის მოწმობები ექნებათ. ყველა მოსულთ ვსთხოვთ ამგვარი მოწმობებით გამოცხადდენ. სამხედრო მინისტრის მაგიერ ხელს აწერს გენერალ ლეიტენანტი ნოვიცკი. ყველა იმათ, ვისაც ზემოხსენებული მოწმობები არ აღმოაჩნდებათ ხან დაუზმელად და ვატყვევებთ მათის პიროვნების გამორკვევად.

### სამხედრო ყრილობა

მოსკოვიდან იტყობინებიან: 9 აპრილს ოფიცერთა დეპუტატების საბჭო განიხილავს საკითხს სრულიად რუსეთის სამხედრო პირთა წარმომადგენლების ყრილობისას.

### მთავრობის განკარგულებანი 6 აპრილი.

**პეტროგრადი.** დროებითს მთავრობის განკარგულებით წითელ ჯვრის მთავარ სამმართველოში დაარსდა ცენტრალი კომიტეტი, რომელმაც ტყვეებისათვის უნდა იზრუნოს იგი შეაკავშირებს ყველა ამგვარ დაწესებულებებს.

### უწესობანი ფინეთში.

**ჰელსინგფორსი.** ჰელსინგფორსის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოწოდება გამოსცა, სადაც ხალხს აფრთხილებს, ისეთ საქმეს ნუ ჩაიდენთ, რაც ფინეთის შინაურ საქმეებში ჩარევა იქმნებაო.

## მსოფლიო ომი.

### დასავლეთის ასპარეზი.

9 აპრილი. ოფიციალი. ვლადიმირ ვოლინსკის მიმართულებით ბელოვინის რაიონში ერთ რაზმმა მტრის არტილერიის ცეცხლის საშუალებით გამოილაშქრა ჩვენზე, მაგრამ ჩვენ თოფის სროლით და ყუმბარების მტყორცნელების საშუალებით მტერს უკან დავახევიეთ და თავის თხრილებში შევრეკეთ. ზაბოროვას რაიონში მტერმა აღმართა წითელი და თეთრი დროშები და სცდილობდა თხრილებიდან გამოსვლას, მაგრამ ჩვენი ცეცხლის საშუალებით მტრის ასეთი ცდა შევაფერხეთ.

**ლონდონი** 8 აპრილი. ოფიციალი. ღამით ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ჩვენ ავიღეთ სოფ, გოილე. მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ მტრის ჯარის ნაწილი ცდილობდა ჩვენ თხრილებში შემოჭრას. ფიკესარის მახლობლათ მტერს სროლა აუტეხეთ. ორივე მხრიდან წარმოებდა საარტილერიო სროლა.

**პარიზი** 8 აპრილი. ოფიციალი. სომასა და უაზოს შუა სასტიკი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ბრძოლა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობდა მდ. ენსა და შმენდედანის შუა მდებარე ადგილებში.

27 მარტიდან მოკიდებული 7 აპრილამდის ინგლისელებმა და ფრანგებმა ხელთ იგდეს 33,000 ტყვე გერმანელი და 336 სამხედრო იარაღი.

**პარიზი** 8 აპრილი. ოფიციალი. მდ. ენის ჩრდილოეთით ხდებოდა საარტილერიო ბრძოლა, ტყვედ წამოვიყვანეთ 100 კაცი.

რეიმსის ჩრდილოეთით ღამის განმავლობაში ძლიერად მოქმედებდა არტილერია. ჩვენ წინ წავიწიეთ ჟიუვეშკურის სამხრეთით.

შამპანში მოგერებულ იქნა გერმანელების იერიშები. მეზობლე შამპანის დასავლეთით ფრანგებმა გაარღვიეს გერმანელების ძბრძოლის ხაზი და ტყვეთ წამოიყვანეს 40 კაცამდი.

### კავკასიის ასპარეზი.

სროლა და დაზვერვა გრძელდება.

**სპარსეთი.** ქურთებმა გაანადგურეს ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულები.

### რუმინიის ასპარეზი.

კეზდივე ზარგელსკის მიმართულებით მტრის ჯარის ნაწილმა ჩვენს მოწინავე სადარაჯოებზე იერიშები მოიტანა. მტერი კონტრიერიშებით მოვიგერიეთ. კოტულიონგის რაიონის ჩრდილო დასავლეთით ჩვენი მძიმე არტილერია მარჯვედ უშენდა მტრის რაზმს. დანარჩენ ადგილებში ჩვეულებრივი სროლა და დაზვერვა სწარმოებდა.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი** 8 აპრილი. ოფიციალი გრძელდება საარტილერიო ბრძოლა. ჩვენი ბატარეების ცეცხლის საშვალებით დავანგრიეთ მტრის თხრილები მაგერინის მიდამოებში. პაზუოს ჩრდილო კალთეპზე და სხვადასხვა ადგილებში მტრის რაზმები გავფანტეთ. გორიცის და კარსოს მიდამოებში მტრის არტილერია ჩაჩუმდა. იტალიის ოთხი აეროპლანი განაგრძობდა მტერზე ყუმბარების დაშენას, ფრინავები უვნებლათ დაბრუნდენ.

### ბელგიის ასპარეზი.

**ჰავრი** 8 აპრილი. ოფიციალი. ბელგიის ასპარეზის აღმოსავლეთით ნაწილში საარტილერიო ბრძოლა გრძელდება.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ნიუ იორკი.** ლონდონის კონგრესზე ერთად-ერთმა სოციალისტმა განაცხადა: სეპარატიული ზავი რუსეთისა და გერმანიისა დემოკრატიულ ევროპის საქმეს შეაფერხებდა. რუსი სოციალისტები, საფრანგეთის სარევოლიუციო აზრებით აღზრდილი, ფრანგებს მარტო არ დასტოვებენ ბრძოლის ველზე. სეპარატიული ზავი საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი ქვეყნის მშვიდობიანობისათვისაო.

დანიის გაზეთები გვამცნობენ: ინგლისსა და გერმანეთს ზავზე მოლაპარაკება აქვთ გამართული. ამბობენ, ომი მაისის დასაწყისში დასრულდებაო.

### რუსეთის ასპარეზი.

გაზეთების ცნობით, რუსეთის ჩრდილოეთ-დასავლეთის და გალიციის ბრძოლის ხაზზე გერმანელებს დიდძალი ჯარი გადმოჰყავთ. რუმინეთის ასპარეზიდან გერმანელები მიჰყავთ და მათ მაგიერ ავსტრიელებს აყენებენ.

### მაკენზენი.

ბერძნული გაზეთების ცნობებით, მცირე აზიაში ოსმალთა ჯარის გენერალისიმუსად მაკენზენი დაინიშნა.

მეორე ცნობით, მაკენზენი დაუნიშნავთ პალესტინის, მესოპოტამიის და კავკასიის ასპარეზების მთავარსარდლად. მაკენზენი 25 მარტს სტამბოლში გამგზავრებულა, ძაგრამ სოფიაში მისვლისას მეფე ფერდინანდთან უთათბირია და მაკედონიისაკენ გამგზავრებულა.

ამერიკის კონგრესის წევრმა მეიერმა ჩხეიძეს დეპეშა გამოუგზავნა. მეიერი სთხოვს ჩხეიძეს, ავტორიტეტიულად აცნოთ ქვეყანას, რომ რუსეთის დემოკრატია სეპარატიული ზავი არა ჰსურსო. მუშათა დეპუტატების საბჭომ უპასუხა მეიერს, რუსეთის დემოკრატიას სეპარატიული ზავი კი არა ჰსურს, არამედ მსოფლიო ზავიო. ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო უნდა იყოსო.

## ახალი ამბავი

◆ გუშინ პ. ღ. ს. დეპეშები და სატახტო გაზეთები არ მიგვიღია.

◆ იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო გიორგი სიქართველოს კათალიკოსატის მთავარ კომიტეტის დადგენილებით განთავისუფლებულ იქმნა თანამდებობიდან. გიორგი ეპისკოპოსის მოვალეობას დროებით შეასრულებს არქიმანდრიტი ნაზარი.

◆ საქართვ. საკათალიკოსოს სასულიერო სასწავლებლების სამზრუნველომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ქართულ ენის მასწავლებლად მიიწვია ბ — ნი ია ეკალაძე-ცინცაძე.

◆ ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტის მოწოდებით ამ დღეებში სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენელნი განიხილავენ გადაყენებულ ჟანდარმთა სამმართველოს და სხვა საბუთის ქაღალდებს.

◆ ქუთაისში ეს ერთი კვირაა პური საყოფად აღარ ცხვება.

◆ 23 აპრილს ქალაქის ბაღში გაიმართება დიდი საჯარო სეირნობა სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების სასარგებლოდ.

◆ **დ. ხენაკშა** კვირას 16 აპრილს დანიშნულია ქარ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილების წევრთა კრება სანიკიძეების სათეატრო დარბაზში.

◆ ორშაბათიდან ქუთაისის საშუალო სასწავლებლებში სწავლა განა ხლდა.

◆ ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი:

1) აღმასრულებელი კომიტეტის საჭიროებისათვის ადგილობრივ ვაჭრების მიხეილ და ლუკა ჭავჭავაძეების მიერ შემოწირული 300 მანეთის შესახებ აღმ. კომიტეტმა დაადგინა: ფული გადაეცეს კომიტეტის მდივანს დ. ავალიანს ქალაქის კასაში შესატანათ. ამასთანავე საჭიროდ სცვნეს, მადლობა გამოუცხადონ შემომწირველთ

2) თანახმად ქუთაისის მაზრის უფროსად ყოფილ ალი-იუსუეროვის თხოვნისა აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა, მიეცეს მას მოწმობა, რომ ის განთავისუფლებულია მაზრის უფროსის თანამდებობისაგან და არავითარ პასუხის-გებაში არ იყო მიცემული.

3) საპატიმრო სახლში დატუსაღ ებულ ნემსაძე და მხეიძე, რომელნიც დაპატიმრებული იქმნენ დიდი ჯიხაიშის აღმ. კომიტეტის განკარგულებით, ქუთ. აღმ. კომიტეტმა დაადგინა, გადასცეს ისინი საგამომძიებლო კომისიას.

4) მიღებულ იქმნა მხედველობაში მოწერილობა ონის აღმ. კომიტეტისაგან ოლიმპიადა ბესარიონის ასულის კობახიძის კარბოლას სიმჟავით თავის მოწამვლის შესახებ.

8 მარტს სხდომაზე გამოტანილი დადგენილება:

1) თანახმად აღმ. კომიტეტის ზოგიერთ წევრთა განცხადებისა, რომლებიც შეუძლებლად სთვლიდენ დასწრებოდენ აღმ. კომიტეტის ყოველდღიურ სხდომებს დადგენილ იქნა: სხდომები მოხდეს დრო გამოშვებით, კვირაში სამჯერ: ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს.

2) სხდომაზე აღიძრა საკითხი, რომელიც შეეხებოდა ჭიათურაში, როგორც მსხვილ სამრეწველო ცენტრში ადგილობრივ აღმ. კომიტეტის არჩევნების ცალკე მოხდენას, აღმ. კომიტეტმა დაადგინა: ჭიათურა გამოეყოს მეზობელ სოფლის საზოგადებას და მოხდენ-ლ იქმნას ცალკე არჩევნები.

3) განიხილეს თხოვნა ირკუტსკის ციხიდან განთავისუფლებულ ალექსი დევდარიანისა, რომელიც პოლიტიკურ საქმეებზე იყო დაპატიმრებული და დაადგინეს: მიეცეს მოწმობა ხსენებულ დევდარინს ხარკოვში რკინის გზით უფასოდ მიმოსვლისათვის.

4) ამიერ კავკასიის კომიტეტის დეპეშის გამო დადგენილ იქმნა, გაიგზავნოს თბილისში კომიტეტთან პირად მოსალაპარაკებლად სასამართლოს კომისარი ნ. მ. ქიქოძე, რომელსაც დაევალება სხვათა შორის შეკრიბოს ცნობები შესახებ იმისა თუ რა ცვლილება მოხდა მოსამსახურეთა სხვა და სხვა დაწესებულებებში.

5) განხილულ იქნა ... ქუთ. მაზრის მილიციის უფროსის ... ფრონტზე გაწვევის ... კომიტეტმა დაადგინა ... ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, აღმ. კომიტეტს, დასტოვოს ... ტი თავის თანამდებობაზე, უკიდურეს შემთხვევაში დროებით მაინც.

## შენიშვნა გაზ. „მშაკ“.

თბილისელ სომხურ გაზ. „კავკაზსკოე სლოვო“-ში მოყვანილია სომხურ გაზ. „მშაკი“-დან გადმობეჭდილია წერილი სათაურით „ქართველ შოვინისტთა მოქმედება“ მოგვყავს წერილიც: „ქართველი შოვინისტები თავის აგრესიულ მოქმედებით იმხედრებენ თავის წინააღმდეგ, როგორც რუსის საზოგადოებას ისე სხვა ეროვნებათ. ქართველი შოვინისტები თეორეტიული ლოზუნგებით არ კმაყოფილდებიან და თავიანთ მისწრაფებას პრაქტიკულად ანხორციელებენ, როგორც ეს მათ მოიმოქმედეს ავტოკეფალიის კითხვაში. ისინი რუსისა, ბერძნებისა და სომხების სკოლებს უსამართლოდ ექცევიან. დიდ ხუთშაბათს მათ საქართველოს ექსარხოსად ყოფილ, არქ. ეპის. პლატონს. რომელიც ამ ჟამად რუსის ეკლესიის ექსარხოსად ითვლება ნება არ მისცეს ფეხთა ბანის წესი შეესრულებინა ორშაბათს 3 აპრილს ისინი შესულან რუსის წმ. იოანეს საყდარში და მღვდლისთვის მოუთხოვიათ ეკლესიის დატოვება. აღელვებულმა მღვდელმა საპროტესტო ქადაგება წარმოსთქვა. ლოცვაზე მყოფი რუსობა დიდად აღელდა... სოფ. ბაშკიჩეთში შევიდენ ბერძენთა საყდარში და დაბეჭდეს; ამის გამო ბერძნებმა საპროტესტო დეპეშა გამოგზავნა. გორის მაზრაში მცხოვრებ სომეხთ, რომელნიც ქართულად ლაპარაკობენ სოც. ფედერალისტურ პარტიას წინადადება მიუცია ჩამოშორდენ სომხის მრევლს ან გორის მაზრა მიატოვონ.

ეპარქიულ საქმეთა გამგეს ეპისკოპოსს მხიტრს ცნობა მიუვიდა, რომ თელავში ქართველმა შოვინისტებმა წინადადება მისცეს ოჯახებს, რომ შევიდენ ქართულ ეკლესიის მრევლში, წინააღმდეგ შემთხვევაში საკვირველია, უფალო, საქმენი შენი... ასეთი ინსინუცია? დღევანდელ მომენტს განა დაღუპვით არ ემუქრება ასეთი ღვარძლი? აღსაშფოთებელი ის არის რომ სომხური გაზეთი სრულ სიცრუეს ახვევს ქართველ სამღვდელოებას თავზე ზემო მოყვანილ გაზ. მშაკი“ს ბრალდებას არსად ადგილი არ ჰქონია. ყოვლად სამღვდელო ლეონიდე საქართველოს საკათალიკოსოს მოსაყდრე გაზ. „საქართველოში“ გაზ. „მშაკს“ უმართებულო ბრალდების პასუხს აძლევს, აგრეთვე სოციალ-ფედერალისტთა პარტიაც აბათილებს „მშაკის“ ინსინუაციას, მაშ რაშია საქმე? ქართველი ერი და მით უმეტეს ეკლესია როდის ყოფილა სხვის მჩაგვრელი სხვისი ერის უფლებათა ფეხ ქვეშ გამთელი? ამისთვის თვით ისტორიას მიმართეთ. საქართველოს გაწამებული ეკლესია ახლად აპირებს ფეხის ადგმას და სულის მოთქმას მისი ასე უდიერად შეურაცყოფა შეურაცყოფაა მთელი ქართველი ერისა,

გაზეთ მშაკს ჯერ კიდევ არ გამოლევია ქართველი ერს წინააღმდეგ სანთხევი შხამი. მისი ფარული გრძნობები ასეთ დიად საპასუხისაგებო მომენტშიც შუღლს სთესავს...

რას უნდა მიეწეროს ეს?

ნუთუ ასეთი გამოსვლები წმინდა კონტრ რევოლიუციური არ არის? „მშაკი“ და „კავკაზსკოე სლოვო“ როდესაც ასეთ სახელის გამტეხ და შეუფერებელ მოჭორილ ამბავს უთმობენ თავის გაზეთის ფურცლებზე ადგილს პასუხს აგებენ მთელი ქართველი ერის წინაშე. ქართველ ერს თავის არსებობაში არავინ არ დაუჩაგრავს არავისათვის არ უმტრია... დაე მან ამოგლიჯოს თავის ისტორიიდან ფურცლები მტრობისა, შურისა, და სხვის დაჩაგვრისა...

დღეს განსაკუთრებულ დროში ვიმყოფებით, მაგვარ გამოსვლებით დიდი საფრთხე უმზადდება. საჭიროა ეს საცსებით შეიგნოს სომხის მესვეურებმა და ასეთ მომენტში მაინც ნუ სთესენ შუღლსა და მტრობას.

**საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრის ყოვლად სამღვდელო ლეონიძეს პასუხი.**

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა სთხოვს „საქართველოს“ რედაქციას ადგილი მისცეს შემდეგ განცხადებას:

ზოგიერთ ადგილობრივ გაზეთში („მშაკი“ და „Кавказское слово“-ში) იბეჭდება მეტად აღმაშფოთებელი ცნობები, რომელნიც სახელს უტეხენ ჩვენის ერის ეკლესიურ უფლებათა აღდგენის საქმეს.

საზოგადოდ, ამ გვარ ამბების გამოსაკვლევად არსებობს სპეციალური კომისია ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრის თავმჯდომარეობით და ყველა ეს ხმებიც ამ კომისიას გადაეცემა შესამოწმებლად.

ამ ჟამად კი საქართველოს ეკლესიის მმართველობა აცხადებს. რომ, რამდენადაც მას ცნობები მოეპოვება, აღნიშნული ხმები სინამდვილეს არ შეეფერება.

ასეთ დროს, როდესაც ეროვნებათა შორის გამწვავებული ურთიერთობა სუფევს, ყოველ ორგანოს მოვალეობას უნდა შეადგენდეს სიფრთხილით მოეპყრას საზოგადოებაში გავრცელებულს ხმებსა და ჭორებს და ხელი შეუწყოს ერთაშორის ძმობისა და ერთობის განმტკიცებას.

საქართველოს ეკლესიის კათალიკოზ პატრიარქის მოსაყდრე და დროებითი მმართველობის თავმჯდომარე **ლეონიძე**, ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი.

## სოციალისტ რევოლიუციონერები და პატარა ერები.

ხარკოველ სოციალისტ რევოლიუციონერთა ორგანო „მიწა და თავისუფლება“ („земля и воля“) სწერს:

„ჯარის კაცთა და მუშათა საბჭოებმა ე. ი. აწინდელმა მთავრობამ ყოველი ზომა მიიღო იმის შესახებ, რომ რუსეთის თავისუფალ ხალხს ბრალი არ ედებოდეს „ინოროდცები“ს ფეხ ქვეშ სამარცხვინო გათელვაში და დამცირებაში. ყველასგან შეძულებული დიდი მპყრობელი გვირგვინოსანი არწივი თავის მკაცრ ბრჭყალებში აწამებდა პატარა ფინეთს, რომელიც ამაოდ სცდილობდა თავის ხსნას-განთავისუფლებას და ისე ცხოვრებას, როგორც ეს ფინეთის ერს ეწადა. რევოლიუციურმა რუსეთმა პატარა ფინეთს ძმურად გაუწოდა ხელი და მისცა მას სრული უფლება, რომ ფინეთმა ისე მოაწყოს თავის ცხოვრება როგორც ამას თვითონ სასურველად და შესაძლებლად სცნობს და დაინახავს. რიგ--რიგმა საუკუნოებრივმა დევნა შევიწროებამ ჭრილობებით დასერა რუსეთის მეორე მეზობლის პოლონეთის ეროვნული სხეული. მეფის მთავრობამ პოლონელთ დიდხანს აღვრევინა უმანკო სისხლი. ძვირფას თავისუფლებისთვის მებრძოლ პოლონელ გმირთა ჩონჩხები უნდა ქეჯნიდენ რომანოვთა და მის ერთგულ მიმდევართა შავ სინდისს. აწ თვითმპყრობელური ბორკილურ ცხოვრებას ბოლო მოეღო, იგი აღმოიფხვრა პოლონეთი ამიერიდან თავისუფალია, და თავის ნების ყოფის შესაფერად შეუდგება საკუთარ ცხოვრების მოწყობა გარდაქმნას. პოლონეთის და ფინეთის განთავისუფლება პირველი ნაბიჯია რუსეთის ეროვნებათა ბორკილების ახსნის საქმეში. ამჟამად განსახილველია კითხვა კავკასიის და უკრაინის მოწყობისა.

რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის ორივე ეს ნაწილი უნდა მოეწყოს სრულ ავტონომიურ საფუძვლებზე. ეროვნული შეზღუდვა თქმა არ უნდა მრავალ ბოროტებას ჰქმნიდა რუსეთის დემოკრატიისთვის. რევოლიუციურმა ხალხმა აწ თავის სავალ გზიდან იგი უკუ აგდო. ხალხოსნურ მთავრობის დასამყარებლად ეს პირველი პრაქტიკული ნაბიჯია“.

ასე მსჯელობენ სოციალისტ რევოლიუციონერები ქ. ხარკოვში. როგორც სჩანს ბედკრულ საქართველოში ჰაერი სხვა ყოფილა და ხელს არ უწყობს ასეთსავე აზროვნებას, აქ დიდ ცოდვათ ითვლება ერის ბორკილებისგან- დახსნა ავტონომიაზე ხმის ამოღება.

## თბილისი.

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი სთხოვს პარტიის თანამგრძნობ ახალგაზდობას და მოსწავლეთ შემოიარონ კომიტეტის ბიუროში სამშაბათს და ოთხშაბათს (ლორის მელიქოვის ქ. სახლი ქართული ბანკისა) დილის 11 საათიდან შუადღის 3 საათამდის და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდის საჭირო საორგანიზაციო საკითხზე მოსალაპარაკებლად. საქ. ეროვნ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.

— პროფ. ივ. ჯავახიშვილი პეტრეს ქალაქიდან თბილისში ჩამოვიდა.

— ღვთისმეტყველება. უმაღლეს სასწავლებში სახალხო განათლების სამინისტროს დადგენილებით მართლმადიდებელ სარწმუნოების სტუდენტებისთვის სამღვთის მეტყველო ეგზამენს სავალდებულო ხასიათი ეკარგება და ამიერიდან ფაკულტატიურათ იქნება.

— კიტა აბაშიძის ავათმყოფობა გრძელდება. მოწვეულ იქმნა ექიმთა კონსილიუმი. დაესწრნენ ექიმები: გ. მაღალაშვილი, მუხაძე, ლამბაშიძე და ვირსალაძე. მათის აზრით, ავადმყოფს ნერვებთა შუა ნევრალგია აქვს და სრული სიმშიდე სჭირდება. ჯერ არ იციან, რამდენს ხანს გასტანს ავადმყოფობა. მუდმივად სწამლობს ექ. პს. ვირსალაძე.

— დ. ჭიაბრიშვილი, დუშეთის კომისარი ბრმა ნაწლევის ანთებით არის ავად. სწამლობენ ექიმები, შალვა მიქელაძე და ვას. მანსვეტაშვილი.

— უბედური შემთხვევა. 9 აპრილს ლისის ტბაზე საექსკურსიოდ წასულან გიმნაზიის მოსწავლენი, ქალები და ვაჟები. რამდენიმე მოსწავლე 2 ნავით ტბაში შეცურებულა, მაგრამ ნავებში წყალი შესულა და ერთი ნავი გადაბრუნებულა. დამხრჩვალან ქართული გიმნაზიის მოწაფენი ერისთავი და კლდიაშვილი, დანარჩენნი ცურვით გამოსულან ნაპირზე.

— ოქროს ფულის აღმოჩენა. 9 აპრილს, თბილისის მილიციის უფროსის თანაშემწემ ივ. კაჩუხოვმა თავის ბინაზე გაჩხრიკა გენერალ ლეიტენანტი სტეპანოვი. მას სხვათა შორის აღმოაჩნდა 3287 მან. და 50 კ. ოქროს ფული, რომელიც დაბეჭდეს. ბ. კაჩუხოვმა განუცხადა ეს ფული თქვენ ჩამოგერთმევათ და მის მაგიერ ქაღალდის ფული მოგეცემათო. ბ. გენერალს ეს არაფრათ ესიამოვნა და სთქვა: ქაღალდის ფული რათ მინდაო.

## ხალხის გასაჭირი.

სოფლებიდან ცნობები მოგვდის, რომ იქ გაჩენილა მსხვილფეხა საქონლის ჭირი, რომელიც მუსრს ავლებს თურმე მუშა საქონელს. სენი მთელ იმერეთში მძვინვარებს და იგი ისედაც გადატაკებულ მცხოვრებლებს უკანასკნელ ნუგეშ-მარჩენალ ხარს, ძროხასა და ცხენს ართმევს. ეს მოვლენა სასოწარკვეთილებაში აგდებს სოფლის ხალხს. მათ გაწამებას საზღვარი არ აქვს. ყოველწლიურად დამშევა, ომიანობის გამო მშრომელ ხელის წართმევა და ბოლოს ერთად ერთ ცხოვრების იმედის სამუშაო საქონლის გაწყვეტა.

ჩვენი ხალხი დააფრთხო ასეთმა ზედიზედმა უბედურებამ. გადვიდეთ პირდაპირ საქმეზე. როგორც გამოირკვა საქონელი ბევრი გაწყვეტილა, რასაც ამტკიცებს გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოყვანილი შემდეგი ცნობა:

„თბილისს ჩავიდნენ ი. ქუთათელაძე და აგრონომი დანილევსკი ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის დავალებით უნდა წარუდგნენ ამიერ კავკასიის კომიტეტს და სთხოვონ: მიუცილებლად საჭიროა მთავრობა დაეხმაროს სოფლებს და ბლომათ ღაათესვინონ მინდვრები. ამისათვის საჭირო იქნება მიაშველონ მეურნეებს ზოგიერთ ნაწილების ჯარის კაცნი და სამხედრო ცხენები, რადგან მუშა საქონელი სულ ერთიან გასწყვიტა ჭირმა.

ჩვენ ამასთანავე გვატყობინებენ, რომ ყველა სოფლებში არ იყო მოწყობილი საქონლის წამლობა. სადაც ექიმები იყვნენ, სამკურნალო წესისამებრ ვერ ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას. მაგალითად ს. ჯიხაიშში ექიმს ავადმყოფ საქონლის აცრა დაუვალებია—ადგილობრივ მომუშავე ქალისთვის, რომელსაც უცოდინარობით საქონლის სხეულში ნემსით ზედმეტი წამალი ჩაუშვია, რის გამოც მოსარჩენი საქონელი დახოცილა. სოფლებში საქონლის ჭირი ჯერ მოსპობილი არ არის და იგი ისევ განაგრძობს საქონლის გაწყვეტას. საჭიროა ხალხის ამ უბედურებას დიდი ყურადღება მიექციოს. ხალხს ეჭირვება გამოცდილი ბეითლების მიშველება, გარდა ამისა. როგორც ამას ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი სამართლიანად სთხოვს ამიერ კავკასიის კომიტეტს, ხალხის საშველად აუცილებლად სათანადო ზომები უნდა იქნეს მიღებული. დამშევის თავიდან ასაცდენად, საჭიროა, ახალმა მთავრობამ ხალხს მიაშველოს მუშა ხელი (სამხედრო ტყვეები ან ჯარისკაცები) და მიწის დასამუშავებლად მუშა საქონელი. ამას მოითხოვს რევოლიუციურ მთავრობის ინტერესი. ამავე დროს ფართო მოქმედება უნდა დაიწყოს ქალაქში მყოფმა სოფლის შვილებმა: მათს მოვალეობას შეადგენს სოფელს დაუბრუნდეს და თავისი შრომით, ხალხს დაეხმაროს ეს იქნება ქვეყნის წინაშე მოქალაქობრივ მოვალეობის უკეთესად მოხდა... კითხვა მეტად ძნელი და რთულია, შიმშილობა ჩვენს ქვეყანას კატასტროფას უქადის. ჩვენი ვალია ამ საქმეში შეერთებულის ძალით დავეხმაროთ სოფელს.

სწავლისგან თავისუფალ ახალგაზდობას შეუძლია დიდი სამსახურის გაწევა. კიევის გუბერნიაში სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინადადებით მოწაფეთა ჯგუფი შესდგა, რომელიც მიწის მუშასთან იმუშავებს ამ ზაფხულს. ჩვენი მოწაფენიც ასევე უნდა მოიქცენ. გარდა იმისა, რომ ისინი უმუშახელოთ დარჩენილ სოფლელებს ნუგეშად მოევლინებიან, აგრეთვე დრო და დრო საუბრით ცოტაოდენ კულტურასაც შეიტანენ ხალხში. საჩქაროდ ავმოქმედდეთ ამ საშურ საგანზე. ყველა ქართული დაწესებულება უნდა ამუშავდეს და ყოველი შესაძლო ზომა მიიღოს.

**ჯიხ.**

## ნიკოლოზ რომანოვი და საფრანგეთის მინისტრ-პრეზიდენტი რიბო.

გაზეთ „კავკასკოე სლოვო“ მეტად უცნაურსა და წარმოუდგენელ ცნობას იღებს „საკუთარი კორესპონდენტისაგან.“ ჩვენ არ შევალთ იმის განხილვაში, ეს ცნობა სინამდვილეა თუ „საკუთარი კორესპონდენტის ფანტაზიის ნაყოფი. ამას ახლო მომავალი გვაჩვენებს, ხოლო თუ ეს სინამდვილეა, მაშინ მეტად სამწუხარო ფაქტად უნდა ჩაითვალოს ასეთი მოვლენა ორ მოკავშირე და მეომარ სახელმწიფოთა შორის. აი ეს ცნობაც;

„საფრანგეთის მინისტრ-პრეზიდენტმა რიბომ შემდეგი სთქა დეპუტატთა პალატაში: ჩვენ აღფრთოვანებულნი ვართ მეფის მოქმედებით, ვინაიდგან მან ქედი მოიხარა ხალხის სურვილის წინაშე და უმსხვერპლა მას ამაყი დინასტიის წარსული. ამაზე მშვენიერი მოქცევა წარმოუდგენელია.

მეფე იყო, არის ეხლაც და კვლავაც დარჩება საფრანგეთის ერთგულ მეგობრად. (ტაშის ცემა). ჩვენი ვალია გამოუცხადოთ მას პატივისცემა ამ ტრიბუნიდან“ო.

რამდონათ აულო ალღო რიბოს ამ განცხადებას „მეუმრავლესეთა“ правда-მ ჩვენ არ ვავარჩევთ ამას, ხოლო თუ ჩაუკვირდებით რიბოს ნათქვამს, უნდა ვსთქვათ-რომ ასეთი რამ არ ჩაითვლება რუსეთის რევოლიუციურ მთავრობისადმი მაინც და მაინც მეგობრულ ნაბიჯად. რიბო თუ იმპერიალისტია, დეპუტატთა პალატა ხომ არ უნდა იყოს ასეთი. მიტომ არის გაუგებარი პალატის ტაშის ცემა. ნიკოლოზ რომანოვი მადლობა ღმერთს დატუსაღებულია და მას აღარავითარი გავლენა აქვს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. თუ ასეა, მის მტრობასა თუ მეგობრობასაც აღარ უნდა ჰქონდეს საფრთხე არცერთ მეომარ მოკავშირეთათვის. რა კი რუსეთის ხალხმა და ჯარმა ერთხმად აღიარა რომანოვების დამღუპველობა რუსეთისათვის, რაკი ახალ მთავრობას მხარი დაუჭირა მოკავშირე სახელმწიფოებმა, რაღათ დასჭირდა რიბოს მოვალეობად აღიარებია ნიკოლოზისადმი პატივისცემის გამოცხადება? არ ეკადრება რესპუბლიკურ მართვა—გამგეობის წარმომადგენელს ასეთი შეხვედრა იმ სახელმწიფოსადმი, რომელსაც თავის მიზნად დაუსახავს ისეთივე და უფრო დემოკრატიული რესპუბლიკური წესწყობილება. ახალ მთავრობის მხარის დაჭერა სჭირია, გამაგრება, ხოლო რუსეთის ხალხმა უნდა იცოდეს, რომ რომანოვებმა დაღუპვის გზაზე მიიყვანა საზიზღარი მართველობით მთელი სახელმწიფო. რომანოვებს თავის ნებით არ მიუტოვებიათ ტახტი, არც მიატოვებდენ მას და ნუ თუ კულტურულ საფრანგეთის სათავეში მდგომი რიბო იმდონად უგუნური გამოდგა, რომ ეს ვერ გაიგო? თუ ეს განცხადება რიბოსი ჭეშმარიტება არის და თუ საფრანგეთს ჰსურს რუსეთთან მეგობრული კავშირი იქონიოს, ერთად ერთი გამოსავალი ის იქნება, თუ რიბოს პალატა უნდობლობას გამოუცხადებს და აიძულებს ამით გადადგეს თანამდებობიდან.

ახლო მომავალმა უნდა გვაჩვენოს, რა გზას დაადგება ერთის მხრივ საფრანგეთი, ხოლო მეორეს მხრივ რუსეთი. ერთი კი მართლაც ტაშის ცემისა და აღფრთოვანების ღირსია. პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს ჯერ ისეთი გონიერი და შორს მჭვრეტელი ნაბიჯი არ გადაუდგამს, როგორც ნიკოლოზის ინგლისში არ გაშვება და მისი მუდამ თვალ წინ ყოლა „ცარსკოე სელოში.“ ამით უზრუნველჰყო ხსენებულმა საბჭომ რევოლიუციის საბოლაო გამარჯვება.

**სოსო.**

ვსთხოვთ ყველა ხელის მომწერს, ვისაც ჩვენი გაზეთი წესიერად და თავის დროზე არ მისდის საჩქაროდ გვაცნობონ ეს, საჭირო ზომების მისაღებად.

„ჩვენი ქვეყნის“ კანტორა.

## სომხური პრესა.

სომხური გაზეთი „მშაკი“ სომხურ სახალხო თავისუფლების პარტიის პროგრამის გამოქვეყნების შესახებ სხვათა შორის სწერს:

„არა ნორმალური მოვლენა იყო სომხის ხალხისთვის, როდესაც მის სვებედს განაგებდა მხოლოდ რომელიმე ვიწრო პარტიულ—რევოლიუციური ჯგუფი. ერის კეთილდღეობისთვის მიუცილებელი იყო ერის ხმით ყველა პარტიათა გამოსვლა რომელნიც ლეგალურად და ორგანიზაციულად მუშაობდენ.

ეს შესაძლო ხდება დღეს, „სომხურ სახალხო თავისუფლების პარტიას“ ხელახლა შემჭიდროებით და დღეიდან ის ამ როლს შეასრულებს, როგორ ასრულებენ სხვა ერთა ეროვნულ დემოკრატიული პარტიები.

სომეხთა სახალხო თავისუფლების პარტიის მიერ თავის პროგრამის გამოქვეყნებას ჩვენ დიდი ხანია საჭიროდ ვსცნობდით კავკასიის ყველა ერმა დღეს რევოლიუციურ დროებითს მთავრობას გარკვეულად უნდა ამცნოს თავისი ეროვნული მოთხოვნილება. ეს აუცილებელია, რადგან, დროებითს მთავრობას კავკასიის ერთა ეროვნულ კითხვის გადაჭრაში ეჭვირება ამ ერთა ეროვნულ მოთხოვნილების ცოდნა. კავკასიის ერთა ეროვნულ კითხვის სასურველად მოგვარებისთვის აგრეთვე მიუცილებელია კავკასიის ერთა შორის შეთანხმება...

## ეროვნული კითხვა.

**თურქ. ფედერალისტების პარტია.**

უკვე განაახლა თავისი მოქმედება თურქების „ფედერალისტთა პოლიტიკურმა პარტიამ“. პარტია ფედერატიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას მოითხოვს რუსეთში. ქ. განჯაში 2 აპრილს გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზედაც წარმოთქმულ იქნა მრავალი სიტყვა. მიტინგს მრავალი ხალხი დაესწრო და დიდის აღტაცებით შეხვდა ორატორებს. იქვე პარტიაში ჩაეწერა 500 წევრი და შეკრიბეს ძლიერი ფონდი.

**მაჰმადიანთა პროტესტი.**

კონსტ.-დემოკრატების სრულიად რუსეთის ყრილობაზე მაჰმადიანთა დროებითი ბიუროს წარმომადგენელმა მაკსუდოვმა სხვათა შორის სთქვა, რუსეთის მაჰმადიანები მუდამ კადეტებთან იქნებიან განუყრელადაო.

რამდენიმე დღის შემდეგ სატახტო ქალაქის გაზეთებში დაიბეჭდა მაჰმადიანთა წერილი-პროტესტი. მაჰმადიანთა დროებითი ბიურო აცხადებს, რომ მაკსუდოვი მხოლოდ თავის კერძო შეხედულებას გამოსთქვამდა კადეტთა ყრილობაზე და რომ მისთვის არ დაუვალებიათ იმის თქმა. მაჰმადიანთა წარმომადგენლები სწერენ: „ჩვენ მხარს ვუჭერდით კონსტ.-დემოკრატებს, რადგანაც მათი პარტია ჩვენი პოლიტიკურ მისწრაფებათა გამომხატველიც იყო. მაგრამ ამ პარტიამ ჩვენთვის საბოლაოდ დაკარგა ნდობა. ამის მიზეზი არის ის იმპერიალისტური ლოზუნგები რომელიც გვესმოდა მათგან როგორც ძველი რეჟიმის დროს ისე რუსეთის თავისუფლების ნათელ დღეებშიც. ჩვენ თამამად ვიტყვით რუსეთის მთელი მაჰმადიანობის სახელით, რომ მთელი მაჰმადიანობა არ გაჰყვება სტამბოლისა და სრუტეების დაპყრობის ლოზუნგებს, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ხალხთა უფლებრივ თანასწორობის იდეას. აქედან აშკარაა, რომ კადეტებს ევროპის ერთათვის სხვა საზომი აქვთ და აზიის ერებისათვის კი-სულ სხვა. მაჰმადიანები მუდამ იქნებიან ძმურ კავშირში რუსებთან და მსხვერპლსაც მიიღებენ, მაგრამ იმაზე კი ვერ დათანხმდებიან, რომ მაჰმადიანები სხვა ეროვნებათა დასაჩაგრავად ამოქმედონ“.

პროტესტს ხელს აწერენ მაჰმადიანთა ბიუროს ყველა წევრები გარდა მაკსუდოვისა და სხვა წარჩინებული მაჰმადიანები.

**უკრაინელთა შორის.**

ცნობილ უკრაინელ საზოგადო მოღვაწე ვასილენკოსთან უსაუბრია გაზ. „უტრო როსიი“ს თანამშრომელს. ვასილენკოს სხვათა შორის უთქვამს: „მას შემდეგ რაც უკრაინა რუსეთს შეუერთდა, იგი მუდამ იცავდა თავის ავტონომიურ უფლებებს. როდესაც ეს უფლებები მოსპეს, უკრაინის საზოგადოებრივი მოძრაობის იდეოლოგია მედგრად მოითხოვდა უკრაინაში ავტონომიურ წყობილების დამყარებას. დეკაბრისტებიდგან დაწყებული, კირილე-მეთოდეს საძმოში და მას შემდეგაც უკრაინის მოძრაობა აღიარებდა საჭიროდ, რუსეთში ფედერატიული რესპუბლიკა დამყარებულიყო.

ამ პროგრამას და მხოლოდ ამ პროგრამას ემსახურება უკრაინის ხალხი დამფუძნებელ კრების არჩევნების დროსაც. იმედი მაქვს, რომ რუსული საზოგადოებრივი აზრი სრული თანაგრძნობით შეხვდება უკრაინულ ლოზუნგებს და მხარს დაუჭერს მათ. უახლოესი მიზანი უკრაინელთათვის უნდა იყოს, ჩემის აზრით, დამფუძნებელ კრებისათვის მომზადება, უკრაინის ავტონომიის ყოველმხრივი შემუშავება და უახლოეს კულტურულ საჭიროებათა (პრესა, სასწავლებელი და სხვა) დაკმაყოფილება... უკრაინელები მზად არიან ყოველ-გვარი დახმარება აღმოუჩინონ დროებითს მთავრობას, რათა შეაძლებინონ მას თავისუფლების განხორციელება და ასეთი რთული საქმის შესრულება, როგორიც არის ომის დროს დამფუძნებელი კრების მოწვევა.

ვფიქრობ, ამასვე იტყვის უკრაინული კონგრესი, რომელიც უნდა მოხდეს კიევში აპრილის პირველ რიცხვეში. ამ კონგრესზე არჩეულ იქნება სრულიად უკრაინის აღმსრულებელი ორგანო: იგი იქნება მთელი უკრაინის ინტერესებისა და მოთხოვნათა წარმომადგენელი ავტორიტეტული ორგანო.„

უკრაინის მეორე საზოგადო მოღვაწეს, ეფრემოვს, განუცხადებია;“ უკანასკნელ დროს უკრაინის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება უკრაინელ ავტონომისტ-ფედერალისტების გარშემო შეჯგუფდა. ეს მიმდინარეობა თავისი პროგრამის მთავარ მუხლებათ სთვლის: უკრაინის ავტონომიას, რუსეთის ფედერატიულ წყობილებას და პარლამენტარიზმს. ამ სამ მუხლს იზიარებს ყველა მომქმედი უკრაინული ელემენტი პარტიის განურჩევლად. ამავე მოთხოვნით გავსწევთ ჩვენ დამფუძნებელ კრებისაკენ. არის უკრაინაში ეროვნულად უფრო მემარცხენე მიმდინარეობაც, რომელიც უკრაინის დამოუკიდებლობას მოითხოვს. მაგრამ ეს მიმართულებაც აღიარებს, რომ უახლოესი მიზანი არის ავტონომიური უკრაინა ფედერატიულად მოწყობილ რუსეთში ასეთ პირობებში ჩაყენებულ უკრაინას უნდა ჰქონდეს სრული შინაგანი თვითმართველობა, კულტურული მუშაობის სრული თავისუფლება: ეროვნული სასწავლებელი,

სასამართლო, თვითმმართველობის ეროვნული სახე და სხვა"

**მოლდაველთა ყრილობა.**

როგორც გაზ. „რუს ვედ." ოდესიდგან ატყობინებენ შემდგარა მოლდაველთა კავშირი, რომელშიც შედიან სამხედრო და სამოქალაქო სამსახურის პირები და სტუდენტები. კავშირის პროგამა მოითხოვს: ბესარაბიის ავტონომიას, ეკლესიის ავტოკეფალობას და ადგილ მამულის მშრომელ მოლდავანთა ხელში გადაცემას.

---

## სამწუხარო გაუგებრობა.

**(გ. ნათაძის წერილის გამო)**

აპრილს 2-ს, აღდგომა დღეს თბილისში გამოვიდა პირველი ნომერი სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის კომიტეტის ორგანოსი „Знамя труда" („შრომის დროშა"), რომელშიაც ბ-მა გ. ნათაძემ მოათავსა წერილი: „Автокефалія или свобода совѣсти?" („ავტოკეფალია თუ სინდისის თავისუფლება?''). ამ წერილში, სხვათა შორის, გამოთქმულია შემდეგი დებულებანი;

ა) პრინციპიალურ საკითხის სინდსის თავისუფლებისას ბევრნი ურევენ ავტოკეფალიის საკითხთან, ნამდვილად კი ,,ამ ორ საკითხს საერთო არა აქვსთ რა ურთიერთ შორის'';

ბ) საქართველოს ეკლესიის კანონიურის უფლების აღდგენა არის საქმე ,,ნაციონალ-დემოკრატების და სხვა ჯგუფებისა, რომელთაც სურსთ თავისი აგრესიული ინსტიქტები დამალონ ისტორიულ და ეროვნულ უფლებათა შირმის ქვეშ''. მთავრობის დეკლარაციის შემდეგ გამოირკვა ქართველი სამღვდელოების მისწრაფებათა ნამდვილი სარჩული: ,,გამოირკვა, რომ მათ უნდათ კანონიურ უფლებათა აღდგენა იმისთვის, რომ ამით მათ ეძლევათ ტერიტორიალური უფლებანი და ეს კი დაუმორჩილებს მათ ყველა მართლმადიდებელთ, რომელნიც ქართულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ. არა, ბატონებო, ეს სინიდის თავისუფლება არ გახლავსთ, ეს სინდისის დამონებაა, ეს არის აღდგენა მეორე სახელმწიფოებრივის ეკლესიისა'';

გ) დასასრულ, პატივცემული ავტორი გამოსთქვამს თავის მოსაზრებას სამღვდელოების რჩენის წესისა და აგრეთვე საეკლესიო და სამონასტრო მამულების შესახებ და, როგორც კილოზე ეტყობა, ჰფიქრობს ვითომც ავტოკეფალიის მომხრენი წინაღმდეგი იყვნენ იმისი, რომ ,,სარწმუნოება მორწმუნეთა კერძო საქმეა''. რომ სარწმუნოებრივი საზოგადოება (მაშასადამე ეკლესიაც) თავის შესანახ საშუალებებს თავის წევრთა შორის უნდა ჰკრეფდეს და არა ხაზინიდან მოელოდეს, რომ საეკლესიო და სამონასტრო მამულები ხალხს (გლეხობას) უნდა გადაეცეს უსასყიდლოდ სასარგებლოდ.

სრულიად ვიზიარებთ ბ-ნის გ. ნათაძის აზრს, რომ ავტოკეფალია საზოგადოდ და სინდისის თავისუფლება ერთი და იგივე არ არის. მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. რუსეთის ეკლესია დღემდე ავტოკეფალურია, ე. ი. სხვა ეკლესიაზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ მასში არასოდეს სინიდისის თავისუფლება არ ყოფილა, რადგან რუსეთის ეკლესია დამონებული ჰყავდა საერო მთავრობას და როგორც ჰსურდა ისე ამოქმედებდა. ეს ყველგან ასეა, სადაც სახელმწიფო გაბატონებულია ეკლესიაზე, სადაც ეკლესია სახელმწიფოს ერთერთ უწყებად ითვლება. მაგრამ დიდი შეცდომა იქნება, აქედან ის დასკვნა გამოვიყვანოთ, თითქოს ის ავტოკეფალია, რომელსაც ქართველი სამღვდელოება და დემოკრატიული ნაწილი ჩვენის ერისა დღეს მხარს უჭერს, ასეთი ავტოკეფალია იყოს. ბ-ნი ნათაძე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ გველაპარაკება და ამიტომ საჭიროა ჩვენც სწორედ ამ ავტოკეფალისტთა პროგრამას მივმართოთ. ასეთს პროგრამას წარმოადგენს სრულიად დეპუტატთა მიერ შემუშავებელი ,,პროექტი საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციისა'', რომელიც შემუშავებულ იქნა თბილისში ამ 12 წლის წინათ, სახელდობრ 1905 წელს და შემდეგს წელში დაიბეჭდა ქართულად და რუსულად ,,სასულიერო მოამბეში'' (იხ. ,,Духовный Вѣстникъ грузинскаго екзархата'' 1906 შ. №№ 3 ი 4) და რომელიც საფუძვლად უძევს დღესაც ჩვენს საეკლესიო საკითხს. აი რას ვკითხულობთ ამ პროგრამაში:

„§ 4. როგორც ზნეობრივ-სარწმუნოებრივის მიზნით არსებული საზოგადოება საქართველოს ეკლესია შეეხება თვის წევრებს მარტო ზნეობრივი პრინციპის მხრით და მიზნად არა აქვს შეეხოს მათ, როგორც წევრებს სახელმწიფოსას ან რომელიმე პოლიტიკურის ორგანიზაციისას. მსგავსადვე არც სახელ მწიფოს აქვს უფლება ამ საზოგადოების შინაგან წეს-წყობილებასა და ცხოვრებაში ჩაერიოს, რადგან, როგორც ითქვა, ეს საზოგადოება არავითარს პოლიტიკურს და ეკონომიურს მიზანს არ ესწრაფვის. სახელმწიფო, როგორც ყოველგან, ისე ამ შემთხვევაშიაც ვალდებულია მხოლოდ უზრუნველ ჰყოს ამ საზოგადოების წევრთა ნამდვილი სარწმუნოებრივი თავისუფლება და მის დაწესებულებათა ხელშეუხებლობა ეკლესიის გარეშე მდგომ პირთა და დაწესებულებათაგან. რომ საქართველოს ეკლესიამ სამუდამოდ აიცილოს თავიდან ეჭვი ან ბრალდება ეგრეთ წოდებულს კლერიკალიზმში და თანაც სავსებით განახორციელოს თავის წევრთა სინიდისის თავისუფლება, აუცილებლად საჭიროა—განთავისუფლდეს არა მარტო ეკლესია სახელმწიფოსაგან, არამედ სახელმწიფოც—ეკლესიისაგან: არც სახელმწიფო უნდა ერეოდეს ეკლესიის საქმეებში და არც ეკლესია—სახელმწიფოს საქმეებში".

იკითხება: შეიძლება თუ არა ამგვარს ეკლესიას ეწოდოს „სახელმწიფოებრივი ეკლესია"? პასუხი თვით პატივცემულის გ. ნათაძისათვის მიგვინდვია.

აი კიდევ მეორე ადგილი იმავე პროგრამიდან:

„§ 8 ... როგორც ეკლესიის წევრად გახდომა ისე მასში დარჩენა ანუ გასვლა დამოკიდებულია თვით მორწმუნის სინიდისსა და სურვილზე..."

იკითხება: არის ამ მუხლში დაცული სინდისის თავისუფლების პრინციპი თუ არა? იმედია ამის პასუხსაც პატივცემული ავტორი ბრძანებს.

მართალია საქართველოს ეკლესია, როგორც ყოველი მართლმადიდებლობითი ეკლესია, ტერიტორიალურია, მაგრამ ეს სრულებითაც იმას არა ნიშნავს, თითქოს ეკლესიას ჰქონდეს რაიმე საშუალება ან ძალა ყოველი მართლმადიდებელი, რომელიც საქართველოს ეკლესიის ტერიტორიაზე სცხოვრობს, უსათუოდ დაიმორჩილოს ვისაც არ ჰსურს საქართველოს ეკლესიაში შემოვიდეს, არც შემოვა. ეკლესიას აქ შეუძლია მხოლოდ სურვილი გამოსთქვას და წინადადება მისცეს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებს მართლმადიდებლებს—საქართველოს ეკლესიაში შემოვიდენ, თანაც მისცეს მათ გარანტია ეროვნულ სარწმუნოებრივ უფლებათა დაცვისა, მაგრამ ძალას კი ვერავის დაატანს. ასეთს გარანტიას კი საქართველოს ეკლესია აძლევს ყოველს არა ქართველს მართლმადიდებელ ერს, რომელიც საკათალიკოზოს საზღვრებში ცხოვრობს: ეს გარანტია გახლავსთ რუსების შესახებ ავტონომიური ეპისკოპოსი (როგორც ეს გამოცხადებული იყო სამღვდელოების დეპეშაში დროებითის მთავრობის დეკლარაციის საპასუხოდ), რომელიც მხოლოდ ნომინალურად იქნება დამოკიდებული ქართველ კათალიკოზ პატრიარქზე, ან ავტონომიურივე ეპისკოპოსი მისიონის სახით (როგორი მისიონიც ჰყავს რუსეთის ეკლესიას მაგალითად ამერიკაში). ავტონომიური ეპისკოპოსები მიეცემათ სხვა ერებსაც საკათალიკოზოს საზღვრებში, უკეთუ ამას თვითონ მოისურვებენ. ასეთია ქართველი სამღვდელოების პოზიცია ამ საკითხში.

რაც შეეხება სამღვდელოების რჩენის წესს და საზოგადოდ ქონებრივს საკითხს, ამის გასაშუქებლად საკმაოა იმავე პროგრამის უკანასკნელი მუხლები მოვიყვანოთ. აი ეს მუხლები:

„§ 25. აუცილებლად საჭიროა შეიცვალოს არსებული წესი სამღვდელოების რჩენა შენახვისა. დღევანდელი სამღვდელოება ჯამაგირს იღებს ხაზინიდან, ხოლო საზრდოსა და წვრილ-წვრილ შემოსავალს—ხალხისაგან. აქედან წარმოსდგება თვით სამღვდელოების მდგომარეობის ორპოფობა: იგი არც მთლად ხალხს ეკუთვნის და არც მთლად მთავრობას, რაც კი ჰქმნის მრევლისა და სამღვდელოების გამწვავებულს ურთიერთობას. რომ ეს უხერხული მდგომარეობა მოისპოს და სამღვდელოება მარტო მორწმუნეებს ეკუთვნოდეს, საჭიროა სამღვდელოებას ინახავდეს მარტო ის ვისაც იგი ემსახურება, ე. ი. მრევლი ანუ მორწმუნეები. მაშასადამე, პრინციპიალურად, საჭიროა მრევლმა პირდაპირ თვითონ უზრუნველ ჰყოს თავისი კრებული, საქართველოს ეკლესიამ—თავისი სამღვდელოება".

„§ 26. მაგრამ, სანამ ის საეკლესიო ქონებანი, რომელნიც ხაზინის ხელში გადავიდა და დღესაც ხაზინის ხელში იმყოფება, ქართველ ხალხს არ დაუბრუნდება...; აგრეთვე, სანამ ის ჯამი, რომელიც დღეს ქართველ სამღვდელოებას ხაზინიდან ჯამაგირად ეძლევა, ხალხს სახელმწიფო გადასახადს არ ჩამოაკლდება, —მანამდე ქართველი სამღვდელოება მარტო ხალხს ვერ დააწვება სარჩენად. ამიტომ, სანამ რუსეთის დამფუძნებელი კრება სამღვდელოების რჩენის საკითხს გადასწყვეტდეს, სახელმწიფო ვალდებულია ქართველ სამღვდელოებას ჯამაგირი აძლიოს, ხოლო მრევლმა იმდენი მისცეს, რამდენიც მის არსებობას უზრუნველჰყოფს".

ასეთია ქართველი სამღვდელოების იმ სამ საკითხში, რომელთაც ბ-ნის ნათაძის წერილი ეხება. ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს ეს საგანი საკამათოდ გავხადოთ. ახლა საამისოდ დრო არ არის არც ის გვინდა ვსთქვათ, ვითომც ბ-ნს ნათაძეს განზრახ დაემახინჯებინოს სიმართლე. ჩვენის ღრმა რწმენით მთელი მისი წერილი ერთის სამწუხარო გაუგებრობის შედეგია ჩვენც ჩვენი თავი ვალდებულად ჩავსთვალეთ ამ გაუგებრობაზე მიგვეთითებინა.

**ს. გორგაძე.**

---

## გ მ ი რ ო ბ ა

**ქართველი პოლკის ოფიცრების და ჯარისკაცების სპარსეთში:**

20 მარტიდგან ყაზვინში ხმა გავრცელდა ქართველი ჯარის ოსმალებთან ბრძოლაში დამარცხების შესახებ. ნამდვილი ამბავი მოგვივიდა, რომ უკვლოდ დაიკარგნენ ოფიცრები: როტმისტრი თ. ავალიშვილი შტაბროტმისტრი დოლიძე კორნეტი ცუხარელი და მოხალისე მხედარი დიდია და 12 ჯარისკაცი; სხვა მარცხი არაფერი ყოფილა გარდა ერთი ჯარის კაცის სიკვდილისა. ზემო მოხსენებულმა გარამოებამ აღვაშფოთა ყაზვინში მყოფი ქართველები და ბრძოლის ადგილობიდგან მომავალ ოფიცრებს და ჯარის კაცებს დავეძებდით ამბავის გასაგებად, მაგრამ დღევმდის ვერავინ ნამდვილი ამბავი ვერ მოგვიტანა.

დღეს 29 მარტს ბრძოლის ველიდგან მოსულმა პოდხორუნჟიმ ბორის ათანასეს ძე ბუგუევმა (ოსია) გვამცნო სინამდვილე შესახებ ზემო აღნიშნული პირებისა: მარტის შვა რიცხვებიდგან ქართველი პოლკს შეტაკება მოუხდა თათრებთან, ყველანი სამაგალითოდ იბრძოდენ, უფროსები ველარ აკავებდენ ჯარის კაცებს, რომლებიც გასაკვირველი მამაკაცობით მიისწრაფებოდენ მტრისაკენ საომრად. ბოლოს უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ ავალიშვილი, დოლიძე, თუხარელი, დიდია და 12 ჯარის კაცი. ყოველმა ცდამ ამბავის გასაგებად ამაოდ ჩაიარა. ამასობაში მოვიდა წერილი თათრებიდგან შემდეგი შინაარსისა: „უმაგალითო გმირულმა ბრძოლამ თქვენი სამი ოფიცრებისა და 13 ჯარისკაცისა გვაიძულა გაცნობოთ, რომ ისინი ჩვენთან არიან ტყვედ, მსუბუქად დაჭრილან ავალიშვილი, დანარჩენი სრულიად გაუზიანებელი არიან".

აღმოჩნდა, რომ ზემო მოხსენებული პირები კვალ და კვალ გაყოლოდენ მტერს მაღალი გორებიდგან ჩასულიყვნენ დაბლობში სახელად „უმან ახაჯ"-თან, რომელიც არის ყოველ მხრით შემოზღუდული მაღალი მთა-გორებით; აქ მთების ძირებში ჩასაფრული ყოფილიყო თათრის ჯარი ჩვენებს ჯერ მისი სიმრავლე ვერ შეენიშნა, მიახლოვებისას კი მათ გარს შემოერტყა რამდენიმე ასი კაცი. რადგან უკან დაბრუნება არ მოხერხდებოდა მაღალი ფერდოებისა გამო, ისინი შევარდენ მტრის ჯარში და რაოდენიმე საათს გმირულ მამაცობით იბრძოდენ. მაგრამ ბოლოს ძალაუნებურად სიმრავლემ თავისი გაიტანა და ჩვენი მეომრები მტერს ხელთ ჩაუვარდა. ბუგუევი გაკვირვებულია ქართველების ასეთი მამაცობით „გამიგონია ქართველებას გულადობის შესახებ ბევრი რამ, მაგრამ სანამ საქმით არ დავინახე, არ მჯეროდა" სთქვა მან ძლიერ გაკვირვებით.

მღ. გიორგი ტყეშელაშვილი ქ. ყაზვინი 29 მარტი 1917 წ.

---

## რ უ ს ე თ ი.

— **იონჯის გატანა.** ქალაქთა ცენტრალურმა სასურსათო კომიტეტმა აღნიშნა, რომ ფინეთიდგან დანიაში გააქვთ დიდი პარტია იონჯისა. როგორც გამოძიებიდან აღმოჩნდა ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს განკარგულებით სავაჭრო სახლს „ძმ. კამენრონი", სავაჭრო სახლს „მეშკოვი" და სააქციონერო საზოგადოებას „აგროს" განუძრახავთ გატანონ დანიაში 100,000 ფუთი იონჯა. 4,600 უკვე გაუტანიათ. ცენტრალურმა სასურსათო კომიტეტმა აღძრა მინისტრის წინაშე შუამდგომლობა, რომ გაუქმებულ იქნას ეს ნებართვა ვინაიდან რუსეთში უამისოდაც საქონლის საკვების კრიზისია, ხოლო 100,000 ფუთი იონჯის დათესას შეუძლია 30 მილიონი ფუთი თივის მოცემა.

როგორ შეუთანხმოთ ეს ფაქტი იმას, რომ ზოგიერთი ერობა რუსეთისა, მაგალითად ელეცკისა ეხლა იონჯას ამერიკიდან იწერს!

— **თეთრ ბილეთიანების შემოწმება.** სამხედრო მინისტრის კ. ი. გუჩკოვის განკარგულებით განთავისუფლებულ უნდა იქნას ამ წლის შემოდგომამდი ის თეთრ რომლებიცბილეთიანები 1909—1901წ. წ. ცნობილ იყვნენ რა სავარგისად ხელ მეორე გადამოწმების შემდეგ 1915 წლის 18 ნოემბრის კანონის წესით ჩარიცხულ იყვნენ მეომართა ნაწილებში.

1915 წლის 18 ნოემბრის კანონი იმბობდა, მომხდარიყო განმეორებითი შემოწმება ჯარის კაცთა, ოფიცერთა და საკლასო ჩინებისა, რომლებიც სამხედრო სამსახურში მიღების ან და მისი განვლისა და სათადარიგოთა რიცხვში ყოფნის დროს, ცნობილნი იყვნენ როგორც სრულიად გამოუსადეგარნი სამხედრო სამსახურისთვის და სამუდამოთ განთავისუფლებულნი მისგან. 91 კანონი არ ეხებოდა იმ თეთრ ბილეთიანთა ხელახლა შემოწმებას, რომლებმაც მიიღო მობილიზაციის დროს მოწმობა სამხედრო სამსახურისათვის უვარგისობისა.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

დაბა ახალ—სენაკში მობრძანდა ბატონი ხარბედია რომელსაც კანონიერად ჯერაც არ დაუმთავრებია ექიმის ნაწილი, მაგრამ ჩვენში მაინც გავრცელებული აქვს ხმა, რომ ნამდვილი ექიმია, და საწყალი დაბალი ხალხი მიაწყდა: რაკი ახალია ის უფრო კარგი მცოდნე იქნება ვიდრე ძველი ექიმიო.

ახალ მოვლენილმა ექიმმა ხალხს დაუწყო გატყავება. ჩვენს სოფლამდის გახლავს 6—7 ვერსი დაჩვენნივე ცხენით ორცდა ხუთ მანეთის ნაკლებ არ მიდის მაზრის ექიმი, ხოლო ერთი ხუთ მანეთად გაგვყავს ყოველთვის, მაგრამ როცა ვერ ვიშოვით იგივე ბატონი ხარბედია ნაკლებ თავის სოფელში არ მიდის; თუმანი ან თუთხმეტ მანეთს სულაც არ მიხედავს ვისაც მიყავს სანამ ფულს ხელში არ მისცემს ფეხსაც არ გაადგამს და, ამისათვის გთხოვთ ერთობ სოფელი გამოაცხადოთ ეს ამბავი თქვენს პატივცემულ გაზეთში, რისთვისაც თქვენი მადლობელი ვიქნებით სენაკის მაზრის მცხოვრებლები.*)

პატივის ცესით ბესარიონ ხარბედია, მცხოვრები სოფელს სახარბედიოს.

1917 წ. 6 აპრილს.

*) ვბეჭდავთ ავტორის პასუხის გებით.

---

რედაქტორ გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია.**

---

## რკინისგზისმიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — სალამ. — | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურიდან | — დღით — | 5 ს. 20 | „ |

---


ს. ბუგეულს რაჭის მაზრაშიდ პირველ აპრილიდან

# გ ა ნ ა ა ხ ლ დ ა

ძმ. წულუკიძეების **გოგირდის აბანოს** მუშაობა. აბანოსთან არის, ცხრა მოწყობილი ოთახი ავათმყოფებისათვის და სუფთა საბანაო თეთრი ქვის ვანები. იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის. გამგე **ივანე ხოხაძე.**

---

## ექიმები:

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ი. ჩარექიშვილი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიხეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ა. დ. მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული

---

## უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოექცენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნერვიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულად მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი **გრანული ექიმ გლეზისაა. გრანული** ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეციერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის სქესურ იმპოტენციის და ნერვულ სისუტის წინაალმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ-სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და ანახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანულ** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელ ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფებას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი სპროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინაალმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში კლინიკებსა და საავათმყოფოებში. **გრანული** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში ,,საექიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა'' **ა. შავერზაშვილის** საათ. მაღაზიაში. გიმნაზიის ქ., თეატრის პირდაპირ. ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ განთავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწოდებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტ. აზრი წამლის შესახებ. მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ სშუალებათ ვსცანი, თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლად თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში.

დოქტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული.** ქ. ოდესა.


---

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქ., სახლი გოკიელოვისა